

მდინარე ხობისწყლის ჰიდროლოგიური რეჟიმის შეფასება

სანდრო ჭითაშვილი

ელ-ფოსტა: sandro.tchitashvili433@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი, 0179 საქართველო

ხობისწყალი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამდინარო არტერიაა, მდინარის შუა და ქვემო დინების ფარგლებში დაბლობისა და გორაკ-ბორცვიანი ზონის ტერიტორია დაკავებულია მრავალრიცხოვანი დასახლებული პუნქტებით, სხვადასხვა სახის სამეურნეო ნაგებობებით, მდინარის ზეგავლენის ზონაში ექცევა სატრანსპორტო გზები, ელექტროგადამცემი ხაზები, მილსადენები და ა.შ. გარდა ანთროპოგენური ფაქტორებისა მიმდინარე კლიმატური ტენდენციებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე. ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი მდინარის წყლის რესურსების გამოყენებისა როგორც ენერგეტიკული ისე კომუნალურ-საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარე ძალზე მრავალრიცხოვანია ის პრობლემები რაც დაკავშირებულია მდინარის წყლის რესურსების გამოყენებასთან. ნაშრომის მიზანი იყო შეგვეფასებინა მდინარე ხობისწყლის ჰიდროლოგიური რეჟიმის შესაძლებლობანი მისი წყალსამეურნეო გამოყენებისათვის.

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია მდინარე ხობისწყლის აუზის ზოგადი ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები, ჩამონადენს ძირითადი საანგარიშო პარამეტრები და აუზის ზოგიერთი მცირე მდინარის წყლის რესურსები.